

# ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

ისტორია

II ტური

X-XII კლასები

2022-2023 სასწავლო წელი

*ინსტრუქცია დავალებებისთვის 1-3: ქრონოლოგიური პრინციპით დაალაგეთ მოცემული ინფორმაცია. პასუხები დააფიქსირეთ უჯრებში. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.*

1. ქრონოლოგიურად დაალაგეთ რომელი პოლიტიკური მოღვაწეები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით.

1. კატონ უფროსი
2. ციცერონი
3. გაიუს გრაკხუსი

2. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული რომანები მათში აღწერილი ეპოქების მიხედვით.

1. ვალტერ სკოტის „აივენგო“
2. ალექსანდრე დიუმას „დედოფალი მარგო“
3. კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“

3. ქრონოლოგიურად დაალაგეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები.





1. მეორე ინტერნაციონალის წევრთა დელეგაციის ვიზიტი საქართველოში
2. დამფუძნებელი კრების არჩევნები
3. საქართველოს დე-იურე აღიარება საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მიერ

*ინსტრუქცია დავალებებისთვის 4-5: ერთმანეთს შეუსაბამეთ ორ სვეტში მოცემული ინფორმაცია. თითოეული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 4 ქულა.*

4. დაადგინეთ შესაბამისობა პიროვნებასა და მოვლენას შორის, რომელშიც იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა

	პიროვნება		ისტორიული მოვლენა
A	იან ჟიჟკა	1	ოცდაათწლიანი ომი
B	ალბრეხტ ვალენშტაინი	2	რისორჯიმენტო
C	ელ სიდი	3	ასწლიანი ომი
D	ჟან კალვინი	4	რეკონკისტა
		5	ჰუსიტური ომები
		6	რეფორმაცია

5. დაადგინეთ შესაბამისობა ქალაქსა და მის ღირშესანიშნავს შორის

A		1	რომი
B		2	ბერლინი
C		3	კორდობა
D		4	მილანი
		5	ედირნე
		6	სიდნეი

*ინსტრუქცია დავალებისთვის 6: ყურადღებით დააკვირდით ფოტოს და უპასუხეთ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური შეფასებაა 9 ქულა.*



- 6.1. დაასახელეთ ილუსტრაციაზე მარცხენა ნაწილში გამოსახული მეფის ვინაობა?
- 6.2. რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული სამხედრო კამპანიის ნაწილი იყო ილუსტრაციაზე ასახული ბრძოლა და ვინ იყო მისი მეფე იმ დროს?
- 6.3. გადმოცემის მიხედვით, ფრიგიის მეფემ შექმნა გარკვეული სახის „თავსატეხი“. წინასწარმეტყველების მიხედვით, ვინც „თავსატეხს ამოხსნიდა“, უდიდეს წარმატებას მიაღწევდა. რა სახელითაა ცნობილი ფრიგიის მეფის მიერ შექმნილი „თავსატეხი“ და როგორ „ამოხსნა“ ის ილუსტრაციაზე გამოსახულმა ერთ-ერთმა პირმა?
- 6.4. რა ეწოდება საბრძოლო წყობას, რომელიც ილუსტრაციაზე გამოსახულ მოწინააღმდეგეთა შორის გამარჯვებული მხარის წარმატებას (მეტწილად) განაპირობებდა? დაასახელეთ პიროვნება, რომელსაც მიეწერება აღნიშნული საბრძოლო წყობის ჩამოყალიბება.
- 6.5. დაასახელეთ ქალაქის სახელწოდება, სადაც აღმოჩნდა ილუსტრაციაზე ასახული მოზაიკა და რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა თქვენ მიერ დასახელებული ქალაქი?

ინსტრუქცია დავალებისთვის 7: თქვენს წინაშეა დავალების პირობა, რომელსაც გულდასმით უნდა გაეცნოთ და შემოთავაზებული ქვესაკითხების მიხედვით ჩამოაყალიბოთ თქვენი მოსაზრებები და არგუმენტები ქვემოთ წარმოდგენილ თემაზე.

- ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აზრაცებად დაყოფილი.
- ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული დავალება მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებულ ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

დავალების მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა.

ცივი ომის პერიოდის ერთ-ერთი შემადგენელი მოვლენაა 1950-1953 წლების კორეის ომი.

7.1. დაასახელეთ ერთი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია ეს ომი.

7.2. დაასახელეთ ამ ომის სამხედრო შედეგი.

7.3. ვისთვის იყო ეს ომი დადებითი პოლიტიკური შედეგის მომტანი, გარდა თავად ომში მონაწილე მხარეებისა. მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

7.4. ვისთვის იყო ეს ომი უარყოფითი პოლიტიკური შედეგის მომტანი, გარდა თავად ომში მონაწილე მხარეებისა. მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

7.5. 1964-1975 წლებში მიმდინარეობდა ვიეტნამის ომი. მოიტანეთ ორი ფაქტი (პოლიტიკური ან სამხედრო), რომელიც ვიეტნამის ომს ამსგავსებს კორეის ომთან.

7.6. 1964-1975 წლებში მიმდინარეობდა ვიეტნამის ომი. მოიტანეთ ორი ფაქტი (პოლიტიკური ან სამხედრო), რომელიც ვიეტნამის ომს განასხვავებს კორეის ომისგან.